ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

31 აგვისტო - 12 სექტემბერი 2013 წელი №16 № 8050 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

ოფიციალური ქრონიკა გვ2.

ქასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ავთანდილ გოგიაშვილი აირჩიეს გვ2.

ოლიმპიური ჩემპიონი ჭაბუკებს შორის გვ3.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის„ ფარგლებში გვ2.

საკაძის ქუჩის რეაბილიტაცია გვ2.

დელეგმაში ანთებული ჩირაღდანი გვ4



ოცი წლის წინ

„მოხუცებში„ მოხალისეთა საძმოდან გვ5

გამოიწერეთ გაზეთი “ახალი განთიადი”

რომლებიმე სიფრთხილეა ყანცის გვერდიოლი ბაფალოების შესახებ გვ3.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ავთანდილ გოგიაშვილი აირჩიეს

23 აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: “კასპის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და “კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ”.

პირველ საკითხზე ისაუბრა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარემ იაგო დემეტრაშვილმა. მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ /25 ხმით/ არჩეულია ავთანდილ გოგიაშვილი.

28 აგვისტოს აღინიშნა მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მარადის ქალწული მარიამი წმიდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა. და აჰა, მოაწია მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის ჟამმა. ამის შესახებ მას სამი დღით ადრე აუწყა მთავარანგელოზმა გაბრიელმა. დედაღვთისამ მაცხოვრის მოწაფე-მოციქულებთან გამომშვიდობება ისურვა გარდაცვალების წინ და მაშინ ღმერთის ძალითა და სასწაულით ყველა მათგანი უმალ ეახლა ღვთისმშობელს, გარდა თომასი, რომელიც შორეულ ქვეყნებში იმყოფებოდა ახალი აღთქმის საქადაგებლად. მოციქულებმა იხილეს, როგორ გააბრწყინა ანაზდად მარიამის ოთახი უჩვეულო ნათელმა, როგორ გამოცხადდა ქრისტე და როგორ აღიტაცა ზეცად მისი უწმიდესი სული. ხოლო სხეულს ღვთისმშობლისას მოციქულებმა განუსვენეს გეთსიმანიის ბაღში ანთებული სანთლებითა და ფსალმუნთგალობით.

სამი დღის შემდეგ იერუსალიმს დაბრუნდა მოციქული თომა და მოინახულა სამარხი, სადაც მშობლებისა და მართალი იოსების გვერდით განისვენებდა მარიამი. თომამ მოინდომა სამარეში ეცა თაყვანი ღვთისმშობლისათვის, გახსნეს სამარხი და ოდენ სამოსელი იხილეს მარიამისა, მისი სხეული ზეცად ამაღლებულიყო. იქ მყოფთ მოულოდნელად გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: “გიხაროდეთ, მე მუდამ ვიქნები თქვენთვის მლოცველი ღმერთის წინაშე” ...

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის,, ფარგლებში

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში კასპის ტერიტორიული ორგანოს სოფელ მიქელწყაროს გამოეყო 29177 ლარი. სოფლის მაცხოვრებლების უმრავლესობის გადაწყვეტილებით ეს თანხა მოხმარდება სარიტუალო სახლის მშენებლობას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 89 ხელშეკრულების თანახმად მშენებლობას ინდ. მეწარმე “აზიზ გოიჯაევი” აწარმოებს. მშენებლობა 2 აგვისტოს დაიწყო და ხელშეკრულების პირობების თანახმად 2013 წლის 15 ოქტომბრამდე დასრულდება.

საააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია

2013 წლის 26 აპრილის №380 განკარგულებით განახლდა ქალაქ კასპში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია, ჭავჭავაძის ქუჩასთან შემაერთებელ მონაკვეთთან ერთად გზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების მესამე ეტაპი. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 75 ხელშეკრულების თანახმად გზის მშენებლობას კომპანია “ჯი-აი-დი” ახორციელებს. პროექტის დასასრულებლად გამოყოფილია 1 050 000 ლარი. კომპანია ვალდებულია 20 ოქტომბრამდე დაასრულოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, უზრუნველყოს ასფალტის საფარის დაგება, სანიაღვრე სისტემების, ფეხით სავალი ბილიკების, ეზოს შესასვლელების, სანაგვე ურნების დასადგამი ადგილებისა და ბეტონის ჭების მოწყობა.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ოლიმპიური ჩემპიონი ჭაბუკებს შორის

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელები და "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელი, ამერიკიდან დაბრუნებულ კასპელ სპორტსმენს გიორგი კაციაშვილს და მის მწვრთნელს ნუგზარ მამულაშვილს შეხვდნენ.

16 წლის გიორგი კაციაშვილი უტრეხტში ჭაბუკებს შორის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობამ მას საჩუქრად აიპადი გადასცა.

"ჭიდაობაში ქართველებს ვერავინ სჯობნის. ჩვენთან ჰაერიც კარგია და წყალიც. რუსს თუ ერთი წელი სჭირდება ვარჯიში, ქართველს ერთი თვე ჰყოფნის" - განაცხადა ოლეგ იაძემ.

აშშ-ში ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში 2013 წლის 8-11 აგვისტოს, ჭიდაობა ძიუდოში, კადეტებში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. ამ ჩემპიონატში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა გორის ძიუდოს სკოლის სპორტსმენმა რობიზონ ბეგლარაშვილმა, იგი ვერცხლის მედლით დაბრუნდა სამშობლოში.

ოლეგ იაძის თქმით, სავარაუდოდ მომდევნო წლიდან, ყველა წარმატებულ სპორტსმენს მუნიციპალიტეტიდან ხელფასის სახით დაახლოებით 300 ლარი დაუწესდება.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ოცი წლის წინ

რამდენიმე სიტყვა კასპის გვარდიული ბატალიონის შესახებ

1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. პარტიების ბლოკმა "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", რომლის სპიკერი იყო ზვიად გამსახურდია, არჩევნების შედეგების მიხედვით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა კომუნისტურ პარტიას (ამ არჩევნების დროს მე და ტარიელ შარიფაშვილი №30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ვიყავით და თითქმის სამი თვე ერთად მოგვიხდა ყოფნა. მხარში ვუდექით კომისიის თავმჯდომარეს ოთარ ჭონიაშვილს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებაში. ამ პერიოდში უფრო დავმეგობრდით).

ახალარჩეულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ 1990 წლის 20 დეკემბერს მიიღო დადგენილება "ეროვნული გვარდიის დაარსების შესახებ". ამ დადგენილების შესრულების მიზნით ქ. თბილისში შეიქმნა პირველი სამი ასეული (1991 წლის იანვარში), ხოლო მეოთხე ასეული შეიქმნა უკვე ქ. კასპში (1991 წლის აპრილში). ასეულის მეთაურად დაინიშნა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი კაცი, მართალი კაცი ტარიელ შარიფაშვილი, მის მოადგილედ – ბატონი სოსო მიგრიაული, ხოლო ოცეულის მეთაურებად კასპელი ოფიცრები: გოგა ხოსრუაშვილი, შოთა დარახველიძე, ნუკრი ყაზარაშვილი და მერაბ მაღლაკელიძე. აპრილ-მაისში ქვედანაყოფი დაკომპლექტდა ახალწვეული გვარდიელებით. ასეული განლაგდა კასპის №148 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ტერიტორიაზე.

იმავე წლის აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას და ეროვნული გვარდიის სარდალს თ. კიტოვანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. პრეზიდენტმა გააუქმა ეროვნული გვარდია და იგი შინაგან ჯარს შეუერთა. პროტესტის ნიშნად თენგიზ კიტოვანმა ჯარი რკონში (შემდეგ შავნაბადაზე, ტელევიზიასთან და თბილისის ზღვაზე) გაიყვანა და დაუმორჩილებლობის გზას დაადგა.

ტარიელ შარიფაშვილმა ახალწვეული გვარდიელები სახლებში გაუშვა, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი ქართული ჯარის პირველი ოფიცრები, ბედის უკუღმართობის გამო, სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

1992 წლის პირველ მარტს ეროვნული გვარდიის კასპის №4 ასეული გადაკეთდა ბატალიონად (4-ჯერ გაიზარდა რიცხობრივად). ყველა, ადრე გაშვებული ჯარისკაცი, გამოიძახეს სამსახურში. აგრეთვე, ბატალიონში მივიდნენ ახალი ოფიცრები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის გრძელ გზას დაადგნენ სამაჩაბლოში, აფხაზეთში, ცდილობდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას სამეგრელოში.

რაც შემეხება მე, 1992 წლის 15 აგვისტოს (აფხაზეთის ომის დაწყების II დღეს) ჩავირიცხე კასპის ბატალიონში შტაბის უფროსის თანაშემწედ კადრების დარგში. ჩემი რეკომენდატორი იყო ტარიელ შარიფაშვილი. პირველად ცივ უარზე დადგა: – მე რომ ვიმობ, ცოლი მე არ მაწუხებს და შვილი. შენ რომ რამე დაგემართოს, შენს მეუღლეს – ქალბატონ ნანას რა ვუთხრა, ან შენს ეკას და ბექას როგორ შევხედო თვალებშიო.

1993 წლის მარტში უშუალოდ აფხაზეთში დამაწინაურეს შტაბის უფროსად (მაიორი შოთა დარახველიძე შევცვალე ამ პოსტზე).

ომმა მძიმე დანაკლისი მოგვაყენა. დაიღუპნენ: ტარიელ შარიფაშვილი /ზემო ხანდაკი/; ალეკო მდინარაძე – /ხარაგაული, კაცხი/; კოლია ხოკრიშვილი /კასპი/; ბადრი ცქვიტიშვილი /კასპი/; გოგი ედიშერაშვილი /ახალქალაქი/; მორის მუხათგვერდელი /აღაიანი/; ზურაბ მანჯიკაშვილი /ქვ. ჭალა/; ვახო პაპუაშვილი /იგოეთი/; ალბერტ (ჩუგუნა) ფეიქრიშვილი /ზემო ხანდაკი/; გივი მენაბდიშვილი /თბილისი/; ზვიად თათიძე /გორი, ქვახვრელი/; ედუარდ დარახველიძე /გორი ჭალა/; აჩიკო ხარხელი /გორი, კირბალი/; ილია კურტანიძე /გორი, კომბინატი/; მამუკა ოდიკაძე /გორი, კომბინატი/; შალვა მაისურაძე /გორი, ტინისხიდი/.

გარდა ამისა, 58-მა მეომარმა მივიღეთ სხვადასხვა სირთულის ცეცხლნასროლი ჭრილობები.

ბატონი ტარიელი დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის მეთაური იყო. მაგრამ როცა მასზე ლაპარაკობენ, არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ამ ბატალიონში მსახურობდა კიდევ ერთი ოფიცერი – გიორგი (გოგა) ოდიკოს ძე ხოსრუაშვილი, რომლისგანაც ყველა, დიდი თუ მცირე ჩინის გვარდიელი, ჩუმად და ცხადლივ, ვიღებდით მაგალითს. ის ჩემთვის დღესაც მეომრის, ბრძოლის ორგანიზატორის სიმბოლოა.

ბატონმა გოგამ 1996-99 წლებში წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ყველაზე პრესტიჟული სამხედრო სასწავლებელი – მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, ქართულ არმიაში მეთაურობდა დიდ ქვედანაყოფებს და, ბოლოს, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი გახდა.

1997 წლის ოქტომბერში თავდაცვის მინისტრმა ვ. ნადიბაიძემ კასპის გვარდიულ ბატალიონს შეუცვალა დისლოკაციის ადგილი და ქ. კასპიდან გადავიდა შირაქის ველზე (დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედი), სადაც მე ვცხოვრობდი ოჯახით. ჩემი შვილები კასპის I საშუალო სკოლიდან გადავიყვანე ზემო ქედის II სკოლაში.

1998 წლის 30 სექტემბერს თავდაცვის მინისტრმა დ. თევზაძემ დამაწინაურა, ქ. გორში №1 სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილედ, სადაც გავხდი პოლკოვნიკი 2001 წლის 20 დეკემბერს. დაახლოებით 1 წელში შირაქში დარჩენილ სამხედრო ნაწილში ტრაგედია დატრიალდა: შემთხვევითი გასროლით დაიღუპა კიდევ ერთი ღირსეული ოფიცერი, მაიორი ნოდარ წერეთელი ...

2002-2003 წლებში ეროვნულ გვარდიაში ჩატარდა დიდი რეორგანიზაცია, სწორედ ამის გამო სამხედრო ნაწილი, რომელიც პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელს ატარებდა, გაუქმდა.

თუმცა, სანამ ის ბიჭები ცოცხლები იქნებიან, ვისაც კასპის გვარდიულ ნაწილში ერთი დღე მაინც უმსახურია, ანდა ერთი დღე მაინც გაუტარებია სანგარში, კასპის ბატალიონი იცოცხლებს.

ლავრენტი ბაიდაური,
პოლკოვნიკი.
10.07.2013 წ.

1993 წლის 25 სექტემბერს დაიღუპა ეროვნული გვარდიის ჯასპის ბატალიონის უფროსი, ჯასპის რაიონის გამგებელი ტარიელ შარიფაშვილი.

დელგმაში ანთებული ჩირაღდანი





წინასიტყვაობის მაგიერ

ის, ვინც ილიაზე ფიქრისას საქართველოზე არ ფიქრობს, ის, ვინც მატერიალური გაჭირვების გამო მხოლოდ საკუთარ, კერძო მომავლის გეგმებს აწყობს, ის, ვისაც მიაჩნია, რომ სულიერების აღორძინების გარეშე შეიძლება წინ წასვლა, ვერასოდეს გაიგებს საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

რამდენმა თაობამ წაიღო საიქიოში დარდი საქართველოს დამოუკიდებლობის ვერ აღდგენის გამო. რამდენი დრო, ენერგია, თავდადება და სიცოცხლე შეეწირა ყველაზე მთავარის – თავისუფლების მოპოვების ყოვლისმომცველ სურვილს.

მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ღრმა იატაკქვეშეთში აერთიანებდა ნამდვილ ქართველებს, ყველაზე დიდ ოპტიმისტ პატრიოტსაც უჭირდა თავისუფალი საქართველოს წარმოდგენა. მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ერთი წუთითაც არ ტოვებდათ შიში, რომ დიდი იმპერიები ვერ დათმობდნენ "გემრიელ ლუკმას", ხოლო, როცა ბრძოლა იწყება, მრავალ დამნაშავეს შეიძლება უდანაშაულოც მიჰყვეს, დროში გავრცობილი ბრძოლა კი ყველაზე ძნელი მოსაგებია.

რამდენ მოლოდინს იტევდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

კიდევ კარგი, სამშობლოს სიყვარული ჯიუტია და მძლეთამძლე.

ტარიელ შარიფაშვილი

მრავალთაგან განსხვავებით ტარიელ შარიფაშვილს ჰქონდა მტკიცე შეგნება იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსახურების ბევრი გზა არსებობს და თითოეული მთავარი და ერთადერთია.

მან იცოდა, რომ ბედნიერება არ არის ბევრი სახლი (ქალაქში, ზღვაზე, მთაში), ბარაქიანი საბანკო ანგარიშები (ურყევ ვალუტაში), გავლენიანი "მეგობრები," საჩვენებელი კოლექციები: იარაღების, ძაღლების, ანკესების ... და საერთოდ, საჩვენებელი ცხოვრება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ყველაფერი არაბუნებრივი. მატერიალურ კეთილდღეობას ამოფარებული მედროვეები ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ მასთან თავს, თუმც რატომ, ამას ვერ ხვდებოდნენ. ისე კი ყველა სიკეთეს იმსახურებდა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობას, სამშობლოს მსახურებასიყვარულს, ღირსეულ, ვაჟკაცურ ცხოვრებას გულისხმობდა და საერთოდ ბუნებრივი იყო მოქმედებით, მსახურებით, პოზიციით.

პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან უყვარდა ისტორიული წიგნები მეფეებზე, რაინდებზე, ქართველების გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე – ეს რა ნამდვილი მხედართმთავარივით ლაპარაკობს მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იჯდა. გმირი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ის უკვე გამგებელი იყო და ეს სინამდვილე განსხვავებულ ასპექტში გვაჩვენებდა მის სახეს.

მაშინ ნამდვილი ომი იყო უშუქობით, უგაზობით, უშაქრობით ... თუმც, პურს კასპიდან ეზიდებოდნენ გორში, ქარელში, ხაშურში. სახელმწიფო მეთაურის აპარატში, რომ გაიგეს კასპელი ვიყავი პირველი ეს მკითხეს - "კასპში მართლა თეთრი პური ცხვებაო? აქ დატვირთვა "მართლა თეთრზე" მოდიოდა ქვეტექსტი კი ასეთი გახლდათ "თეთრი პური თბილისში არა გვაქვს და თქვენ დედაქალაქზე კარგი პური გქონიათო?!"

რა შრომა, გარჯა და თავდადება უჯდებოდა ტარიელ შარიფაშვილს იმ პურით მომარაგება, მარტო მან იცოდა. ბატალიონსაც პატრონობდა, თუმც იმ დროს ის უფრო პოპულარული ამბავი იყო შარიფაშვილის ჯარისკაცები როგორ ვერ სარგებლობდნენ ომის კანონით და უალაფოდ ბრუნდებოდნენ სახლში.

შინაგანი დისციპლინით იგი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, მაგრამ შორს იყო ასკეტიზმისაგან. რამდენად უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს / ჩვენ ვინც ვიცნობდით მას პირადად/ პოეტურის გაგება შეეძლო, მაგრამ არ იყო კაეშანს მიცემული კაცი. იგი კეთილი, თავისი ხალხის წარსულით და ღირსეულ მხედართმთავართა ისტორიით დაინტერესებული და მოხიბლული ვაჟკაცი გახლდათ.

მან იცოდა გაზეთის ფასი, მნიშვნელობა, და მართლაც ღირსეულად ედგა გვერდში რედაქციას. გაზეთი რომ გამოდის და სკოლაში სწავლა არ ჩერდება ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისო – ხშირად მომისმენია მისგან. იმ უშუქობაში გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა და როგორც სამხედრო ჟურნალისტებმა თქვეს მაშინდელი "განთიადის" მასალებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია უახლესი ისტორიის შენახვას. ტარიელ შარიფაშვილის თანადგომით გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციული შენიშვნები თუ ინტერვიუები დღეს უკვე ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტებია.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამგეობის შენობის წინ დაგვპირდა "- თუ არ მოვკვდი გაზეთის გავრცელების პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებო ..." – ისეთი მხნე იყო, ძლიერი, სიცოცხლით სავსე მის სიკვდილს როგორ წარმოვიდგენდით, როგორ ვიფიქრებდით, როგორ დავუშვებდით.

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, მისთვის საქართველოს ჯარისკაცობა პროფესია არ იყო, ჯარისკაცობა მისი ბედისწერა გახლდათ. მის გარშემო მყოფთ (ვინ იცის, ზოგმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო) გვიზიდავდა სიალალის განუმეორებელი ხიბლი. იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ყალბს, მოგონილს, ნიღაბისმიერ ურთიერთობებს, მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს, მართალს.

ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ უფერული და საშუალო მონაცემების სუბიექტთა მაღალ პიროვნებებად წარმოსახვა რომ შეგვიძლია ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხერხი უადგილოა. ტარიელ შარიფაშვილი ომის თაობის რეალური წარმომადგენელია, შესაბამისი სიმამაცით, უდრეკლობით, ტრაგიზმით. იგი იმ ქართველ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც განგება ფართო სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს, მათ კი შესწევთ ძალა თავი დააღწიონ იმ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციალიზმს უწოდებენ. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, უნდა სწორად გავიგოთ, რომ პროვინციალიზმში დასახლებულ პუნქტს კი არ ვგულისხმობთ, არამედ აზროვნების სტილსა და მანერას.

დარწმუნებული ვართ ტარიელ შარიფაშვილის ხასიათის მრავალი საინტერესო რამ ჩვენთვის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩა და ახალი აღმოჩენებიც აღარ გველის, მაგრამ ერთი ფაქტია, ასეთი ვაჟკაცების სიკვდილით ძალიან ბევრი აკლდება ეროვნულ სულს.

ტარიელი კი ჩაქრა ისე, როგორც დელგმაში გატანილი ჩირაღდანი.

ნანა მერებაშვილი.

დაიბეჭდა "განთიადში"

"მოხუცები" მოხალისეთა საძმოდან

თავიანთ თავს "მოხუცებს" ისინი თვითონვე უწოდებენ. ეს – არა მოფერებითა და სიყვარულით, არამედ სხვათაგან, ასაკით უფროსთა და, შედარებით, გამოუცდელთაგან გამოსარჩევად. ომისათვის, მართალია, ყველა ერთ საცერში "იცრება" – ასაკიანიცა და უასაკოც, ჭარმაგიცა და ჭაბუკიც, მაგრამ სწორედ საომარ სიტუაციებში, დიდად ფასობენ ასაკმეტი მებრძოლები, ვინც თავის გადარჩენა-დაზოგვაც იცის, გამოცდილებისა და დაფიქრების კვალობაზე, და, ვისაც ახალგაზრდების, დაუდევინებლების დაცვა-მზრუნველობაც სჩვევია ... სწორედ ასეთები არიან ისინი – ჩვენი "მოხუცები" – კასპელი მოხალისეები, ვინც აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებში ივაჟკაცა და არა მარტო იქ, მანამდე – სამაჩაბლოში, საქართველოს სხვა ცხელ წერტილებში ...

... ახალ წლამდე ერთი კვირით ადრე ვინახულე ისინი რკინიგზის კასპის სადგურის უფროსის ოთახში. სულ ორი დღის ჩამოსულები იყვნენ და არ იცოდნენ, სად იქნებოდნენ საახალწლოდ "აქ" – კასპში, თუ "იქ" – აფხაზეთში. ომი ის მხეცია, რომელმაც დანდობა არ იცის და შინ მშვიდად არ დაგსვამს, თავის მარწუხებში გაგხვევს ზუსტად ორი წლის სამიჯნო ღამითაც, როცა კაცს არაფერი უჯობს შინაურ გარემოში ყოფნას ... ჰო, მებრძოლისათვის, ზოგჯერ, ახალი წლის დილა საომარ ველზე თენდება... ცხადია, თუ თვითონ შეესწრე ცოცხალი...

... ჯერ კიდევ შუა სექტემბერში კასპის გვარდიული ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ტარიელ შარიფაშვილმა, საგაზეთოდ ინტერვიუ რომ ვთხოვეთ, ქებით მოიხსენია კასპელი ვაჟკაცები – აქაური ამბების ეპიცენტრში მოტრიალენი – გოგიტა ხოსრუაშვილი, თამაზ ჭონიაშვილი, რუზველტ მჭედლიშვილი, კობა გასიტაშვილი, გურამ მაისურაძე, გივი მონასელიძე, გივი გიგაური, ვანო ბატკუაშვილი, ჯონი უთალიშვილი ...

... და, აი, ვესაუბრები ერთ-ერთ მათგანს – თამაზ ჭონიაშვილს. მასთან, სადგურის უფროსთან, ოთახში გავიცანი მისივე მეგობარი, თანამებრძოლი გივი მონასელიძე და ამ შემთხვევითაც ვისარგებლე.

– თამაზ, გილოცავთ ამჯერადაც მშვიდობით დაბრუნებას ... ერთი შეკითხვით მოვედი: როგორი იქნება შენი საახალწლო სურვილები?

– პირველ რიგში ბიჭებს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. აი, გივი ეშერის აღების დროს დაიჭრა ფეხში, ახლა 22 ნაკერი ადევს... გოგის ოჯახს მოთმინება მინდა ვუსურვო, ხოლო მის ვაჟებს მამის მსგავსად სამშობლოს სიყვარულით გაზრდა (გულისხმობს დაღუპული თანამებრძოლის გოგი ედიშერაშვილის ოჯახს)... დანარჩენ ბიჭებზე რა გითხრათ: ყველანი მწყობრში ვართ და მზადყოფნაში ... ლაბრის აღების შემდეგ მცირე ხნით დავბრუნდით... გათენებულზე 2-3 კილომეტრი ჭაობჭაობ ვიარეთ და ისე შევედით ლაბრის ცენტრში, არავინ გველოდა, იმ გზით შეღწევა წარმოუდგენელიც კი იყო, მაგრამ ტარიელ შარიფაშვილმა გარისკა და... ამ ოპერაციის დროს თითიც არავის გაკაწვრია, ოცამდე კაცი ისე დავესხით თავს... კოჩარას კომენდანტის ძმა დავატყვევეთ და გორელ 4 ტყვე ბიჭში გადავცვალეთ ... წარმოიდგინეთ, ესენი გადარჩენას კი არა, შველას არსაიდან ელოდნენ ... წინა ბრძოლებში ჩვენს საძმოში ყველა დაგვეჭრა ვოვა გერმისაშვილის გარდა, აი, გივიზე ხომ გითხარით, ნაკერები აქვს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თავისზე წინ არავის გაუშვებს ... დანარჩენს თვითონ გეტყვით.

გივი მონასელიძე – (კავთისხეველი, 47 წლის კაცია, მუშაობს რაიონის უფროს ეგერად, ჰყავს 3 შვილი და 2 შვილიშვილი):

– ჩემზე რა გითხრათ, თამაზმა ყველაფერი თქვა ... უმჯობესია, ჩვენი საძმოს წევრები გაგაცნოთ ... თვითონ თამაზი ოდნავ უმცროსია ჩვენზე – 37 წლისაა, 2 ვაჟის მამა. ინფარქტგადატანილი კაცია და ბრძოლების დროს ჯიბეში "ლიმონკასთან" ერთად წამლებიც უწყვია. ერთი "ლიმონკა" ყველას გვაქვს იმ შემთხვევისათვის, მტერმა ცოცხლად რომ არ ჩაგვიგდოს ხელში ...

თამაზისაგან წლევანდელ 3 აპრილს ისეთი საჩუქარი მივიღე, იშვიათად რომ ვინმეს რგებია: ფოთში, მალთაყვის ხიდის აღების დროს, დაბადების დღეზე 40 ცალი ტყვია მაჩუქა.

ხოვლელი რუზველტ მჭედლიშვილი აქ, რკინიგზის სადგურში, ტვირთის მიმღებ-ჩამბარებლად მუშაობს. პირველ იანვარს დაბადების დღე აქვს, 52 წლისა სრულდება და ძმურად მივულოცავთ. ეგეც კაი "მოხუცია" – 3 შვილის მამა მაისში პაპაც გახდა – ბიჭი შეეძინათ, დავითი... კასპელი გურამ მაისურაძე მხოლოდ 3 დღითაა რუზველტზე უფროსი, სამაგიეროდ უკვე 4 შვილიშვილი ჰყავს... ჩვენი საძმოს წევრია ნუგზარ გურასპაშვილიც – ბატალიონის უფროსის მოადგილე და 3 ვაჟკაცის მამა. ისიც პირველ იანვარსაა დაბადებული, მრგვალი თარიღი უსრულდება – "40"... ვოვა გერმისაშვილსაც ყველა იცნობს კასპში, მონადირეთა კავშირის თავმჯდომარეა. ისიც – 3 შვილის მამაა ... ჰო, გია არ დაგვავიწყდეს ... თბილისელი გია ახალკაცი თამაზის "ავღანელი" მეგობარია. ახალგაზრდაა, მაგრამ იშვიათია ასეთი ძლიერი, საზრიანი და ვაჟკაცური პიროვნება. ეშერის აღებისას ჩვენგან ყველაზე მეტი წვლილი გიამ შეიტანა. ავღანეთში თამაზი სატანკო ასეულს მეთაურობდა, გია – ფეხოსანთა ასეულს და მათი მეგობრობა ჯერ კიდევ იმ ბრძოლებში დაიწყო და იწრთო ...

– მართლაც, ძლიერია გია, ფიზიკურად იმდენად არა, რამდენადაც შემართებით, – გივის სიტყვა ჩამოართვა თამაზმა, რომელიც, ცხადია, უკეთ იცნობს მეგობარს, – რომ გაიგო, აფხაზეთში მივდიოდით კასპელები, დაიჟინა, სწორედ თქვენთან ერთად უნდა ვიბრძოლოო. არადა, დიდ საქმესაა შეჭიდებული: ჯერ 34 წლისაა, მაგრამ უკვე დირექტორის მოადგილეა თბილისის ანალიზური ქიმიის ინსტიტუტში. მეცნიერებათა კანდიდატიც გახლავთ და 2 ბიჭის მამაც.

... აი, ასეთი პატივისცემითა და გაგებით ახასიათებენ "მოხუცები" ერთმანეთს და მშვიდობის ახალ წელს უსურვებენ თავიანთ საძმოსაც და ყველა კასპელსაც ...

მოხალისე "მოხუცების" ყველაზე დიდი სურვილის ახდენისა იყოს: მშვიდობის წელი დაუყენე ჩვენს ხალხს, არსთა განმრიგეო!

ამირან ტალახაძე, 1993წ. 01. 01.

● სიზმრები ნანახი ლაჯვრიერი ხარი



თადარიგის პოლკოვნიკი, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის კასპის რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე, კასპის ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური თამაზ ჭონიაშვილი ოცი წლისწინანდელ ამბებს იხსენებს, გვიყვება, თუ როგორი თავგანნირვით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები სოხუმის გადასარჩენად...

ჩვენ, ქართველებს, ისტორიულად ხომ ერთმანეთის გატანის ნიჭი გვაკლდა ყოველთვის და ალბათ, სოხუმის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო სწორედ... წარსულიდან ხომ კარგად გვახსოვს ბაზალეთის ომი და აქაც მგონი ანალოგიური განმეორდა. იყო გაუგონარი დაქსაქსულობა, შეუთანხმებლობა, ღალატიც, გაუაზრებლობა. ახლა, როდესაც ამ გადასახედიდან ვუყურებ წარსულს, ვრწმუნდები, რომ ერთი პირი არ გვქონდა. ათასი სამხედრო ფორმირება არსებობდა და მრავალ მიზეზთა გამო ვერა და ვერ მოხერხდა ერთად შეკვრა...

ერთი კი გადაუჭარბებლად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხელ წერტილებში სწორედ კასპის ბატალიონი წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენ საომარ ძალას, მეტის თქმაც შეიძლება, ჩვენი მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთი "თეთრ არწივთან" ერთად იგერიებდა მტრის მთავარ შემოსევებს და სწორედ კასპის ბატალიონი, რომელსაც სათავეში ედგა ტარიელ შარიფაშვილი, უმაგრებდა ზურგს "თეთრ არწივს"...

სოხუმის დაცემამდე ორი კვირით ადრე, კასპის ბატალიონი კვლავინდებურად ისევ აქტიურად ჩაება ეგრეთ წოდებულ გაწმენდით საბრძოლო ოპერაციებში. კარგად მახსოვს, ერთ საღამოს მხოლოდ რამდენიმე კასპელი შემოვრჩით, ვიგერიებდით შეტაკებებს, რომელსაც ახორციელებდნენ რუსების, აფხაზების, ჩეჩნების და ზოგადად ჩრდილო კავკასიის ბანდფორმირებები, ეგრეთ წოდებული ბასაევის დაჯგუფება. ისიც გავიგეთ, სოხუმთან ახლოს ერთ პატარა სოფელში, კინდღში რუსებმა დესანტი გადმოსხეს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დესანტი 300 კაცისგან შედგებოდა, ეს იყო რუსების კარგად შეიარაღებული, ტყვიაგაუმტარი ლაბადებით შემოსილი სპეცბატალიონი, რომელიც ჩვენს პოზიციებში შემოჭრას ცდილობდა. უმძიმესი საბრძოლო ოპერაციის ჩატარება მოგვიხდა. იმდენი მოვახერხეთ რომ ჩვენი პოზიციებიც გავამაგრეთ და შეტევაზეც გადავედით, თუმცა ერთი მებრძოლი მაინც დაიჭრა ჩვენს მხარეს.

ხშირად მეკითხებიან, რაღა თქმა უნდა, აინტერესებთ ტარიელ შარიფაშვილთან დაკავშირებული დეტალები. მიმძიმს ამის გახსენება, რა თქმა უნდა, ყოველი წვრილმანიც კი მახსოვს...

19 აგვისტოს ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტიდან სოხუმის მიმართულებით გავფრინდით, ეს იყო 45 კაციანი სპეცრეისი, იმავე საღამოს ცნობილი გახდა ისიც, რომ სოხუმი ალყაშია. რომ დავფრინდით აეროდრომზე და კასპის ბატალიონის წევრებს მოჰკრა თვალი ცხონებულმა ჟიული შარტავამ, სიხარულით ცას ეწია. ტარიელი იმავე წამს გია ყარყარაშვილთან შესახვედრად წავიდა შტაბში...

სწორედ იმ თათბირზე გაირკვა, რომ თბილისსა და სოხუმს შორის კავშირი გაწყვეტილი იყო. უსწრაფესად უნდა აღდგენილიყო სატელეფონო კავშირი. სოხუმთან ახლოს, სულ რამდენიმე კილომეტრში პატარა სოფელია, აძიუბჟა, სადაც განთავსებული იყო საერთაშორისო მნიშვნელობის კავშირგაბმულობის ქვესადგური, რომელიც აფხაზებს ჰქონდათ დაკავებული. კასპის ბატალიონმა დავალება მიიღო, რომ 10 კაციანი ჯგუფით გადაგველახა მდინარე კოდორი და შეუმჩნევლად მივსულიყავით დაკავებულ ქვესადგურთან. ამ დროს ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ირმისა ტყეშელაშვილი, ზურა კენჭუაშვილი, შალვა მამულაშვილი, ბესიკ ერაშვილი, დათო პავლიაშვილი და ზვიად თაბუკაშვილი. მოგეხსენებათ, რომ კოდორი უსწრაფესი მდინარეა და ადვილი არ იქნებოდა დანიშნულების ადგილამდე მიღწევა, მაგრამ გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა და იმ საღამოსვე გავანთავისუფლეთ დაკავებული სატელეფონო ქვესადგური, რა თქმა უნდა, აღდგა კავშირი, მე თვითონ რაციით დავუკავშირდი გია ყარყარაშვილს და ყველაფერი მოვახსენე.

მომდევნო დღეებშიც არ შეგვიწყვეტია გაწმენდითი საბრძოლო ოპერაციები. ერთ-ერთი შეტაკების დროს, როდესაც სამანქანო გზას ვიცავდით, ეს იყო ზუსტად 20 სექტემბერი, მოულოდნელად ტარიელის ხმა მომესმა: - "თამაზ მომხედე, მგონი დავიჭერიო," იქვე ჩაის პლანტაციებია და იქ ხდებოდა ეს ყველაფერი. კარგად მახსოვს, პირველი ვინც დაჭრილ ტარიელთან მივიდნენ და უპატრონეს ოსიკო თავშავაძე და ზურა კენჭუაშვილი იყო... მერე მეც მივედი, ჭრილობა შევუხვიეთ, გამოვიყვანეთ სამშვიდობოზე.

სანამ ტარიელი დაიღუპებოდა, სოხუმის რკინიგზის სადგურის მისადგომებთან დაიღუპნენ კოლია ხოკრიშვილი და ალიკა მდინარაძე, აქვე მძიმედ დაიჭრნენ კახა ბიჭიკაშვილი, გოგა ხოსრუაშვილი, ნუკრი ციცქიშვილი.

დღესაც მეხსიერებიდან არ ამომდის ის უცნაური სიზმარი, რომელიც ტარიელის დაღუპვამდე ვნახე, აი, ახლაც თვალწინ მიდგას სოხუმის სადგურის მისადგომებთან წაქცეული ხარი. სამწუხაროდ, სიზმარი ამიხდა...

ბედისწერა – სამშობლოს სიყვარული

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა გოჩა თათრიშვილი (სიკვდილის შემდეგ).

მრავალი ნათელი მოგონება, დადებითი ემოცია იბადება, როცა გოჩა თათრიშვილს იხსენებენ თანაქალაქელები... მაგრამ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი სამი წერტილივით უთქმელს ტოვებდა ყველაფერს.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით გოჩა თათრიშვილის დაჯილდოების ფაქტი ოჯახისა და ახლობლებისათვის მისი სიკვდილის დასტურიც იყო...

ასე ტკივილ-სიხარულის ზღვარზე მყოფმა დედამ და მეუღლემ ჩაიბარეს ჯილდო.

სხვათა შორის, ერთხელ გოჩამ პირად საუბარში თქვა: "ყველაფერი გამოცდაა – ქონაც და უქონლობაც". მატერიალურ კეთილდღეობაზე საუბრისას ასეთ ფრაზას იშვიათად გაიგონებთ. ომში მდგარ საქართველოში კი ასეთი ნათქვამის გააზრება უკვე ბევრს ნიშნავდა. ეს საუბარი მერე, გვიან გამახსენდა, როცა გავიგე, რომ აფხაზეთში თანამებრძოლები გოჩას "ღმერთის კაცს" ეძახდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა – რატომ "ღმერთის კაცი?" ღრმადმორწმუნეობის, მრავლისშემძლებლობის თუ გამორჩეული პატიოსნების გამო? ახსნა კი ასეთი მივიღე – ყველას გვერდით იდგა, ყველას გვეიმედებოდა, თვლიდა, რომ გადასახდენი უნდა გადაგხდეს. კაცს კი პატიოსნება და რწმენა შველის აქაც და "იქაცო"..

გოჩა ავღანეთის ბატალიონში იბრძოდა. ბატალიონი ყველაზე რთულ ადგილებში, სარისკო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, სწორედ ისინი სამი დღე ანძას იცავდნენ...

27 სექტემბერს ჟიული შარტავას გვერდით იდგნენ... აქ წყდება ბიოგრაფია. მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა, არაფერი ვიცოდით გოჩას შესახებაც...

ფაქტიურად დაცემულ სოხუმში დაბრუნდნენ...

როგორც გაირკვა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დარჩენილი ხალხის გადასარჩენად წასულებს უკან დაბრუნების შანსი თითქმის აღარ ჰქონდათ.

იქნებ ამ გაცნობიერებულმა მდგომარეობამ ათქმევინა წასვლის წინ, მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის – "ჩემი ცხოვრება და ... შენი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის.."

გოჩა თათრიშვილი უკვე იქცა ჩვენი ქალაქის, რაიონის ისტორიის დაუვიწყარ ნაწილად, ის გამორჩეულად გვეამაყება მისი თაობის წარმომადგენლებს. და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, "ომის თაობის" სიამაყე ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა დღეს, როცა არსებობს საშიშროება, რომ საშოვარს გადაგებულ რეალობაში სამშობლოს სიყვარული მხოლოდ პათეტიკის ბინადარი გახდეს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოუშუშებელი ჭრილობა კვლავ მოითხოვს ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ან იქნებ იმაზე მეტსაც.

ყველა ძნელბედობა ღირსეულმა მამულიშვილებმა გადაატანინეს საქართველოს, სამშობლოს სიყვარული კი ყველაზე სასურველი ბედისწერაა ქართველისათვის.

ნანა მერებაშვილი.

მოიხსენე, უფალო, სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდევენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრაყვენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა.

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კასპის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე იოსებ (ოსიკო) თავშავაძე. უახლოესმა ადამიანებმა, ოჯახის წევრებმა, დიდმა სამეგობრომ გულისტკივილით დაიტირეს ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული ამაგდარი და უერთგულესი კაცი.

ოსიკო თავშავაძე დაიბადა 1949 წლის 15 მაისს სოფელ ქვემო ჭალაში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობა დაიწყო ცეკავშირის სისტემაში, სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელმა კაცმა ყველას ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. მისი ალღო, საერთო საქმისადმი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ოსიკო თავშავაძე ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა რაიკოოპერატივში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ოთხმოციან წლებში იგი იყო ჯერ რაიკოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ თავმჯდომარედ დაინიშნა.

1993 წლის შემოდგომაზე ოსიკო თავშავაძე დაინიშნა კასპის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ, ორი წლის შემდეგ სახელმწიფო სამსახურიდან ისევ ჩვეულ საქმიანობას, ბიზნესს დაუბრუნდა.

ოსიკო თავშავაძის ცხოვრებაში განსაკუთრებული აღნიშვნის თემა გახლავთ ურთიერთობა ადამიანებთან. მას შეეძლო ყველას თანადგომა, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროებოდა, ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი გადაარჩინა შიმშილსა და სიცივეს. მისი ქველმოქმედება იყო უანგარო და გაუხმაურებელი.

ერთგულების, უღალატობისა და სამოქალაქო გმირობისათვის, ჭეშმარიტი ქველმოქმედებისათვის ოსიკო თავშავაძე 2011 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, თუმცა, შარშან საქვეყნოდ გახმაურებული ციხის ამბების გამო, უკმაყოფილებისა და პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა სახელმწიფო ჯილდოზე და ორდენი საკუთარი ხელით ჩააბარა მთავრობის კანცელარიას.

ავტორიტეტული ბიზნესმენი, უღალატო და გულისხმიერი მეგობარი, მოსიყვარულე, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კაცი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ოსიკო თავშავაძემ დატოვა დიდი ოჯახი, უერთგულესი და მზრუნველი მეუღლე, შესანიშნავი შვილები, შვილიშვილები, დიდი სამეგობრო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

„დაკარგული„ სიტყვების ყვავლდაყვალ

დგება წუთები, როცა ჩვენი წასული ახლობლები ძალიან, ძალიან გვაკლია ... თითქოს გულზე მთელი სოფლის დარდმა მოიკალათა და მხოლოდ იმ ახლობელს შეუძლია შენი მოსმენა, გაგება, თანაგრძნობა ...

გახსოვს, სულ ჯავრობდი -" წასულებზე წერა ყველაზე ძნელია," არა და არავინ დაგრჩენია პატივმიუგებელი; გახსენებაც გამორჩეულად თბილი გამოგდიოდა. თითქოს სევდის ბოქლომს "ინახავდი" და შენი ჯადოსნური გასაღებით ხსნიდი საკრალურ კარებს ... აქ დარჩენილებს მხოლოდ ნათელს უტოვებდი და იმ ნათელში ჩანდა ყველა ის კარგი, რითიც ფასობდა თითოეული მათგანი. ერთხელ შენს თავსაც კი ავჯობე, ჩვენი ქალაქის მავანი სახლის წარჩინებული ბინადარნი გაიხსენე, ყველა ერთად. იმ დღეებში გვეკითხებოდნენ - ეს როგორ მოიფიქრეთ, ამდენი ჩინებული კასპელი, როგორ "მოკრიბეთ და გააცოცხლეთო?!" შენ კი იმეორებდი "წერილი კი არ იყო კარგი, იმდენი დიდი ადამიანი ცხოვრობდა იმ სახლში გახსენება ცუდი როგორ გამოვიდოდაო?!" ... თუ ისე არ გამოდიოდა, როგორც შენ გინდოდა, თუ უკმაყოფილო იყავი წერილით აიჩემებდი - "სიტყვები მეკარგებაო..." მერე ეს "დაკარგული" სიტყვები ემოციად ლაგდებოდა და იბადებოდა შენი წერილები, დალი მელაძის წერილები.

ხშირად ამბობდი - "მთავარია კვალი ნათელიო!" ჩვენ შენი სითბო გვენატრება, შენი ნათელი, მეგობრობა, გატანა, სიყვარული, ერთგულება გაზეთის და თანამშრომლების მიმართ ... როგორ გვინდა ისევ ჩვენთან იყო.

აი ახლაც, ისევ გვენატრები... დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო.

განთიადელები

ერთი წლის წინ, 28 აგვისტოს მარიამობა დღეს ტრაგიკულად დაიღუპა მამა იოანე

ცოლიერების გვლოცვრიერი

მაქსიმე აღმსარებელი: **ცხოვრების დასასრულს, ვფიქრობ, უსამართლოდ უწოდებენ სიკვდილს, უფრო სწორი იქნება სიკვდილისაგან თავდახსნა ვუწოდოთ, ხრწნილებისაგან გათავისუფლება, მონობის დასასრული, მღელვარებათა შეწყვეტა, ბრძოლათა აღკვეცა, წყვდიადიდან გამოსვლა, მოსვენება შრომათაგან, თავშეფარება სირცხვილისაგან, გაქცევა ვნებათაგან და საზოგადოდ რომ ვთქვათ - იგია სამანი ყოველთა ბოროტებათა ... შეუპოვრად იბრძოდნენ რა წმინდანები ამა სოფელთან და ხორცთან და აქედან მომდინარე ყველა ბოროტებასთან ... დაუზიანებლად შეინარჩუნეს ღირსება საკუთარი სულისა.**

კასპის თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიაში მამა იოანეს (ცხვირაშვილი) მოსვლის შემდეგ საგრძნობლად იმატა მრევლმა. მრევლმა კი იმატა, მაგრამ, მაინც გამოცდის თვალით აკვირდებოდა ახალ მოძღვარს. მოძღვარი კი დღენიადაგ, ტაძრის პრობლემებს აგვარებდა და თან იყოლიებდა მრევლს.

მრევლი სულ უფრო მატულობდა. თუმცა, ურწმუნონიც ხშირად დადიოდნენ ტაძარში: "ამბობენ ახალი მოძღვარი ძალიან საინტერესოდ ქადაგებსო."

ქადაგების დროს სმენადქცეულ მრევლს, უფრო ზუსტად, თითოეულ მათგანს ეგონა, რომ ქადაგება სწორედ მისთვის იმართებოდა, რადგან მამა იოანე ყოველთვის იმაზე საუბრობდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თითოეული მორწმუნისათვის. ახალი მოძღვარი, მართლაც რომ, გულთამხილველად მიიღო მრევლმა. ამან დიდი ნდობა და სიყვარული მოუტანა მამა იოანეს.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, წარმოშობით ხაშურელი მამა იოანე კასპის თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის აღორძინებით უკვე შევიდა ქალაქის ისტორიაში. მაგრამ ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანია ის უხილავი ღვაწლი, რომლის შედეგადაც ტაძარში იმატა მრევლმა, მორწმუნე ახალგაზრდობამ და ტაძარი იქცა სულიერების გადარჩენის, გნებავთ სულიერი განვითარების ადგილად. პირადად მომისმენია იქ გამართულ საუბრებზე: "არსებობს სამყაროს სუბიექტივისტური და ობიექტივისტური ხედვა. სუბიექტივისტური ხედვა ამტკიცებს, რომ ყველაფერი ილუზიაა, ყველაფერი მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში არსებობს მოჩვენების სახით, ხოლო ობიექტივისტური მიმდინარეობა გვეუბნება, რომ ყველაფერი ჩვენს ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს ანარეკლია..." მერაბ მამარდაშვილის ამ ძნელად "გასაგებ" ფრაზებს მოყვებოდა "ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ და ზოგი - იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ." ილიას ცნობილი გენიალურად უბრალო ფრაზა მოძღვრის ნათქვამი თითქოს უფრო გასაგები და მისაღები ხდებოდა .

მსჯელობის, ფიქრის არეალის გაზრდამ, კათარზისის სიმძაფრემ ყველაფერი შეცვალა, სხვა თვალით დაანახა მრევლს ცხოვრების ავი და კარგი, შუქი და ჩრდილი, სამზეოზე დარდმა კი არ გაათითოკაცა მრევლი, მოყვასის სიყვარულის ძალა დაანახა. სხვათა შორის, ერთხელ მამა იოანემ თქვა: "სამყარო თან დიდია, თან პატარა - პატარა იმ გაგებით, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და ის რაც სადღაც, ათიათასი კილომეტრის მოშორებით ხდება, ჩვენს ცხოვრებაში მონაწილეობს "...



ცხოვრება არ გვანებივრებს, მაგრამ მაინც, დროგამოშვებით გვიგზავნის ადამიანებს, რომლებიც გვახსენებენ, რომ მთავარია აირჩიო მთავარი! გიყვარდეს მოყვასი შენი ისე, როგორც საკუთარი თავი და თავს მოვლენილი გასაჭირის დროს გახსოვდეს - მაცხოვარი ადამიანთა მოდგმის ცოდვებისთვის ჯვარზე გააკრეს, შენ კი ...

ნანა მერებაშვილი.

“ყველას” გილოცავთ მარიამობას!

ხსოვნა



შალვა სააკაშვილი

... დიდია ტკივილი, როდესაც შენი სისხლი და ხორცი შენს გვერდით აღარ არის. წლები და ასაკი არასოდეს განსაზღვრავს გულის ტკენის და მონატრების წუხილს. მზიანი გულის კაცი იყავი, თბილი, სტუმართმოყვარე, კარგი მამა, მშობელი, არაჩვეულებრივი პაპა, კიდევ უფრო მეტად საყვარელი და სანატრელი მეზღაპრე და მოსაუბრე დიდი პაპა. ყველას, ყველას ერთნაირად ძალიან გვტკივა უშენობა. მხოლოდ ერთი რამ გვამშვიდებს, რადგან ვიცით, რომ “შენ ხარ იქ, სადაც იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე”. ამინ!

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა ჩვენო საყვარელო პაპავ!

ოჯახი.

80 წელი თქვენს გვერდით

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“!

80 წელი თქვენს გვერდით

დედა რუიზან თავშავაძე, მეუღლე დალი ნიპარიშვილი, შვილები ეკა, გიგი, შვილიშვილები გუგა, ნინი, ნათია, ოსიკო, ეკა, სიძე დავით ქარქაშაძე, რძლები მაკო ჩუბინიძე, ნინო წერეთელი, და ლია, ძმები ჯუმბერი, ნუგზარი, ძმისშვილები, დისშვილები, ცოლის ძმები გოგი, ალიკა ნიპარიშვილები, მძახლები გურამ ქარქაშაძე, თამილა ჩუბინიძე, გივი წერეთელი ოჯახებით, უახლოესი ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზაზა და ნანა მოსიაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გენადი ხაჩიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გოჩა გოგოლაური ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა იოსებ (ოსიკო) თავშავაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გიორგი (წიქარა) წიკლაური ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უშანგი, კობა, გოგიტა, იზა მოსიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ანზორ ბახტაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბელა კობიაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლია მენაბდიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს თავშავაძეების ოჯახს

იოსებ (ოსიკო) თავშავაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი ახალი განთიადი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კასპის საპატიო მოქალაქე

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნუკრი ბერიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა და გიო მერებაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იოსებ (ოსიკო) თავშავაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯაბო ჩარაევი მწუხარებას გამოთქვამს

იოსებ თავშავაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორში“

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76